№ 351 1918. ნ. კვირა ოქტომბრის. 6. № 351

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ამბორში ტროცკი დასჭრეს. ბოლშევიკების მთავრობა ოფიციალურად იტყობინება: ტფ. რუსთა საბჭო და ლებედევი ჩვენი წარმომადგენელი არასოდეს არ ყოფილაო. დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეების შეტევა გრძელდება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

კვირას, ოქტომბრის 6-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ილარიონ სიმონის-ძე წითლანაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მიცვალებულისა თავისი შვილებით. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე. 2012

## ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, შაბათს და ორშაბათს ღვინობისთვის 4, 5 და 7-ს საქველმოქმედო მიზნით გაიმართება საღამოები

## ლ ო ტ ო ს თ ა მ ა შ ი

მომგები, ფულის მაგივრად, მიიღებს 15 ქართულ ლატარიის ბილეთს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1353

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

პარასკევს, ოქტომბრის 6-ს, **„ტ ო ს კ ა“** ოპერა 3 მოქმ. მუს. პუჩინისა

მონაწილეობენ:—სკვარეცკისა, დობროვოლსკისა, ვალიპსკი, ორდა. დემიანენკო, ეზროვი, კურბანოვი, ქურხული.

დირიჟორი სამოხვდი. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 7-ს „აიდა“, ოქტ. 8-ს „ცარსკაია ნევესტა“, ოქტ. 9-ს „რიგოლეტო“. 1337



## ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 6-ს, გაიმართება

## ვიქტორის და დიმის ბენეფისი

მონაწილეობენ აგრეთვე ზინკოვსკები, ესმერალდა, „სამი გმაკი“—ჰაერის მეფეები და მთელი დასი. 2111

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწყებით ქართულ, სომხურ, მუსულმანურ და ოსურ სასწავლებლებში საჭირო არიან ხატვის მასწავლებლები. ამ თანამდებობის მიღების მსურველებს სპეციალური მომზადება უნდა ჰქონდეთ ხატვაში და ბავშების სამშობლო ენა უნდა იცოდნენ.

თხოვნები და მოწმობათა პირები მიიღება ქალ. გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში 1918 წლის ოქტომბრის 20-მდე. 1355

**ქალაქის გამგეობა** აცხადებს, რომ ყველა პირველდაწყებით, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში, სახელოსნო და ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლებში სწავლა დაიწყო სექტემბრის 20-ს, რთს რუსულ პირველდაწყებით სკოლასთან—I ვერის, ქალთა სკოლასთან, ლადინის და რიყის სკოლებთან—გახსნილია მეოთხე განყოფილება.

სწავლა ყველა პირველდაწყებით სასწავლებელში, ქალთა პროფესიონალურ სახელოსნოებში და სახელოსნო სკოლაში უფასოა. 1355

## სარეკლამო ბიუროს „რიაშ“-ს კანტორაში

## გაიხსნა

**სკოლა** ბიურო **ქართულ** და რუსულ მანქანებზე

**სწავლა ხელმისაწვდომ ფასებში**

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 სახელმწიფო ბანკის პირდაპირ. 1346

მე-II წელიწადი **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე-II წელიწადი

## ნ. გ. თ ე ვ ზ ა ძ ი ს

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

**ძ ს ე ნ ი ა ხ ქ. № 11**

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

1917—1918 სასწავლ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

## საქართველოს რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტი

ამით აუწყებს სოფლის კოოპერატივებს, რომ მას აქვს გასაყიდად გადადებული 100000 წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმიდან გაკეთებული. წყვილი ღირს ხუთ თუმნად. მომარაგების კომიტეტის (კომიტეტ სნაბჟენია) ახალი მისამართი: შტაბის ქუჩა, № 2. 1358

## განცხადება

ტფილისის სასტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ. ისტ.).
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

შენიშვნა: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთ ერთი სავაჟო ან საქალებო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ვულიაკოვნია, 91). 1352

## შაქრის ბარათები

ოქტომბრის 7-დან საუბნო საბარათო ბიუროებში დაიწყება შაქრის ბარათების გამოცვლა—ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლისა და სარაიონო ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ ა) სახლის წიგნი, ბ) სახლის სარეგისტრაციო უწყება, გ) პიროვნების მოწმობა და დ) ჩამოწერილი ბარათი, ან-ბანით დაწყობილი.

სარეგისტრაციო უწყება დამოწმებულ უნდა იქმნას საუბნო სასურსათო კომიტეტში. საანბანო ბარათის მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროში.

სასურსათო ბარათის ფასი 10 შაური თითო რაციონზე, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა თითო ბარათზე.

1918 წ. ოქტომბრის 1. გამგეობის წევრი. 1349

* * *

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ...?!
იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი, სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ, მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

## ტფილისი, ოქტომბრის 6.

**ქართული თეატრი.** თითქმის არც ერთი დარგი არ დარჩენილა ჩვენი საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, რომ არ დასტყობოდეს განახლების ძალა, გარდაქმნის და გაუმჯობესობის ნიშანი, მაგრამ ქართული თეატრის და ქართველ მსახიობის ბედი ისე არასოდეს ყოფილა მიგდებულ-დავიწყებული, როგორც დღეს არის. ჩვენ ვერ გამოგვირკვევია ქართულ თეატრის ასეთი მდგომარეობა, ვინაიდან ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რომ ქართული თეატრი ერთი ის უმთავრესი კულტურული ტაძარი იყო, საიდანაც მძიმე რეაქციონურ ხანაშიაც გამოკრთოდა უშწიკვლო დედა ენა და ქართველ ხალხის სიყვარული. ვერ ნახავთ ვერც ერთ შეგნებულ ქართველს თეატრის კალთაში არ მოეთქვას სული და ის გაეხადა კულტურულ მიზნის განხორციელების უმთავრეს საშუალებად. ისიც კარგად ვიცით, რომ მეოთხმოცდაათე წლების თაობა ნოე ჟორდანიასთან აღზრდილი სოფელ-სოფელში სიარულის დროს თავის ნიადაგს ამტკიცებდა ხალხში თეატრით, სცენით და დღეს კი ეს აკვანი ჩვენი თავისუფლებისა, საზოგადო მოღვაწეებისა სრულიად ყრუდ არის მიტოვებული.

დემოკრატიას არ შეუძლიან გულგრილად უყუროს თეატრის ასე აბუჩად-აგდებას, რადგანაც ქართული თეატრი ქართველ მუშისათვის ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ხალხი ხედავს ცხოვრების უარმყოფით მხარეებს, დადებით მოვლენებს და არ იწამლება ყავახანების სულის გამხრწნელ ვაკხანალიით, რომლითაც ავსებულია საქართველოს დედა ქალაქი. არ დარჩენილა არც ერთი ერი ტფილისში, რომელსაც ეროვნული თეატრი არ მოეწყოს. ჯგუფებიც კი ახერხებენ ამ საქმის მოგვარებას, ხოლო ქართველობა, რომელმაც გარს შემოიკრიბა რუსეთში გაფანტული ქართველობა, სადაც დიდძალი ინტელიგენცია და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა—ასეთ ერში კი ქართული თეატრი აღარ არის!

ასეთი მდგომარეობა ქართული თეატრისა უნდა მოისპოს. დღევანდელ რთულსა და მძიმე პირობებში თეატრი უნდა გამოვიყენოთ და ის საზოგადოებრივ სინიდისის გაწმენდის და ზნეობრივ გაფაქიზების საქმეში დიდ სამსახურს გაგვიწევს. იგია მეორე სკოლა დემოკრატიისათვის და როგორც განათლების საქმეს მივაქცევთ ყურადღებას, ისევე უნდა ვემსახუროთ თეატრს.

თითქოს ყოველივე ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ სამწუხაროდ ამ ჭეშმარიტებას არ აქვს გასავალი. ის კი ყველას დაგვავიწყდა, რომ თეატრის მოსაწყობად დღეს გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, ვიდრე ოდესმე ვიყავით. საქართველოს რესპუბლიკას ძვირფასი შენობა აქვს გოლოვინის პროსპექტზე, სადაც დღეს მხოლოდ რუსული ოპერაა და არა სიმბოლო საქართველოს ხელოვნებისა და ძლიერებისა—ქართული თეატრი. ქართველი რეჟისორები და მსახიობები უბრალო კომისრებად გარდავაქციეთ, თეატრით დაინტერესებული მასსა ქართველ ერისა ამ ჟამად ფრიად საკმაოა ჩვენს დედა ქალაქში და ეს ობიექტიურ-მატერიალური ხელსაყრელი მასალა კი ვერ გამოვიყენეთ თეატრისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სახელმწიფო თეატრის კომისარს, ბ-ნ წუწუნავას მიმართა ქართულ დასის შედგენისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე მაინც გაყინულ წერტილს არ მოშორებია. ამ საქმეში სათანადოდ ჩათრეული არ არის ქართველ მსახიობთა კავშირი და ყველამ უწყის, რომ ქართული დასის საქმეც კარგად მაშინ მოგვარდება, როცა ყველა ცოცხალი ძალა ამ საქმეს გამოადგება და მაშასადამე როგორც წუწუნავა, ისე მსახიობთა კავშირი ამ საქმეში თანხმობით და ამხანაგურის განწყობილობით ითანამშრომლებენ.

კიდევ დაყოვნება არ შეიძლება ამ საქმეში. თუ შენობის დაწვამ კრიტიკული ხანა შეუქმნა ჩვენს თეატრს,—დღეს ხომ შენობა აღარაა დამაბრკოლებელი, როცა ჩვენა გვაქვს ძვირფასი შენობა. თეატრის თვით ცოცხალი ძალაც არ დაჩლუნგდეს და მოისპოს, ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ სახელმწიფოებრივი ზომა მიიღოს და სული შთაბეროს ჩვენი კულტურის სავანეს.

## ნარკვევი

ტფილისის კადეტთა ორგანო „რეჩის“ № 8 დაბეჭდილია მ. იასტრებოვის ფელეტონი: „საქართველოს რესპუბლიკის შინაური პოლიტიკური ცხოვრების ახლობელი პერსპექტივები“. ავტორი ეხება სოციალ-დემოკრატების პოლიტიკას საქართველოში და აღნიშნავს, რომ ეს პარტია თან და თან ჰკარგავს ძველს გავლენას. უმთავრესად, როგორც მოსალოდნელი იყო ავტორისაგან, ეს თურმე რუსეთისაგან ჩამოშორებას მიეწერება. სოციალ-დემოკრატები გრძნობენ, რომ ისინი უეჭველად ნაციონალურ პოლიტიკას უნდა დაადგნენ, თუ არ უნდათ მთლად დაჰკარგონ ძალ-ღონეო.

„სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ჰხედავდნენ და იცოდნენ, რომ მათი პარტია უძლურდება არა მარტო უფრო ეროვნულ სოციალისტურ ფრაქციის (სოციალისტ-ფედერალისტებისა) სასარგებლოდ, არამედ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ჯგუფების სასარგებლოდაც (ნაციონალ - დემოკრატებისა), ამბობს ავტორი.

შემდეგ იასტრებოვი ეხება საერობო არჩევნებს და აღნიშნავს: ბევრგან, განსაკუთრებით იმერეთში, სოციალ-დემოკრატიას იხსნიდა ხოლმე სოციალისტ-ფედერალისტებთან ბლოკი. ამით აიხსნება, რომ ისინი იძულებულნი არიან მრავალ საკითხში დასთმონო. შემდეგ ავტორი გულისტკივილით ამბობს, საქართველოში თან და თან უფრო ვრცელდება და მომავალი აქვს ეროვნულ სოციალიზმს, სოციალისტ-ფედერალისტებსაო.

„როცა ხალხი მიიღებს, ამბობს ავტორი, მიწას, თანასწორობას და თავისუფლებას, მისთვის საჭირო აღარ იქნება პარტია, მთელი თავის არსებით ქალაქური, სულით კი პროლეტარული, ე. ი. წინააღმდეგი წვრილ ბურჟუაზიის და გლეხ მესაკუთრეთა კლასისა. ამასთანავე დამტკიცდება ცხადად, რომ არამც თუ საქართველოს გლეხობის ცხოვრებაში, არამედ ქალაქებშიაც შეუძლებელია მენშევიკების სოციალური კანონმდებლობის პრინციპების განხორციელება. სოციალ-დემოკრატიის ბატონობა საქართველოში დროებით ეცემა. დგება ჟამი სოციალისტ - ფედერალისტებისა. უკვე ეხლაც სჩანს ხსენებულ ფაქტორების გავლენა. ეროვნულ საბჭოში სოციალ-დემოკრატების ლიდერები ხშირად უმცირესობაში რჩებიან და გადის წინადადებები, რომელიც ძლიერ ახლოა და ენათესავება სოციალისტ-ფედერალისტების მსოფლიო მხედველობას.

მოიგონეთ საქართველოს ეროვნული გერბის ამბავი: ეროვნულმა „წმინდა გიორგიმ“ დაამარცხა „განთავისუფლებული პრომეთე“, მოიგონეთ ეროვნულ უმცირესობათათვის ენის საკითხი. ირ. წერეთელი სრულიად სამართლიანად იცავდა მათთვის რუსულ ენას, მაგრამ მარტოდ დარჩა. სოციალ-დემოკრატების ფრაქციის რაზმები მის წინააღმდეგ წავიდა სოციალისტ - ფედერალისტების კარნახით...

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მიდის იმდენად სოციალურ მოხაპოვართა გზით არა, რამდენადაც რევოლიუციის მიერ ეროვნულ მონაპოვართა განმტკიცების გზით. და ქართველ ინტელიგენციის ჭეშმარიტ სულის მესაიდუმლენი, ერის ნამდვილი წინამძღოლნი იქნებიან სულ ახლო მომავალში სოციალისტ-ფედერალისტები, ეს მოხდება მიუხედავად იმისა, რომ მათ

არა ჰყავთ არა თუ ისეთი მეთაურები, როგორიც არიან ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი და ე. გეგეჭკორი, არამედ საზოგადოდ დიდი პოლიტიკური მოღვაწენი.

ბ. იასტრებოვის დიაგნოზსა და გულის ტკივილზე ცალკე მოვილაპარაკებთ, ხოლო დღეს მისი წერილის შინაარსის გადმოცემაც კმარა.

## ძლიერი მთავრობა.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წეს-წყობილების გადარჩენა მხოლოდ ძლიერ მთავრობას შეუძლიან ეს დეკლარატიული განცხადება ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღესვე გავიგონეთ ეხლაც ჩვენი ქვეყნის ყველა გულწრფელი მეგობარი იზიარებს ამ შეხედულობას და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძლიერ მთავრობას შეუძლიან გამოიყვანოს საქართველო იმ საერთაშორისო ცეცხლიდან, რომელიც ჩვენს გარშემო არის გაჩენილი ძლიერი მთავრობის შესაქმნელად გაიარა ჩვენმა ჯარმა აჯანყებულ რაიონებში, ძლიერი მთავრობის შესაქმნელად თხოულობს პოლიტიკური აზრი მორჩილებას ყველა იმათგან, რომელთა მოქმედებაც სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების რღვევაში გამოიხატებოდა. გავიდა დრო აჯანყებული რაიონები დავიმორჩილეთ. სოფლებში წესიერება ასე თუ ისე ჩამოვაგდეთ. მაგრამ აქ, ტფილისში თანდათან ძლიერდება ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედება ისეთი ელემენტებისა, რომელთა ალაგმვაც უკვე მორიგ საქმედ არის გადაქცეული. თუ არ გვინდა სახელმწიფოს დამრღვეველმა, ანარქისტულმა ელემენტებმა საბოლოოდ გაიმარჯვონ და ძირს დასცენ როგორც ჩვენი დამოუკიდებლობა, ისე დემოკრატიული წეს-წყობილება.

მთავრობა ადგენს რკინის გზის კომიტეტებმა ადმინისტრატიულ ფუნქციებზე ხელი უნდა აიღონ; კომიტეტი კი ბრძოლას უცხადებს მთავრობას და ნიშნავს ნუსასა და ათაბეგის პირით მთავრობას „კონტროლის“ უფლებას უტოვებს საჭირო გახდა რთული პროცედურის გავლა, რომ მთავრობისთვის სასარგებლო მდგომარეობა შექმნილიყო რკინის გზაზე, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. რკინის გზის კომიტეტში აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც გაბედეს და ულტიმატუმი წარუდგინეს მთავრობას. ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ შექმნეს საგანგებო რაზმი კონტრრევოლუციასთან და სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ტფილისის თვითმართველობის განსაზღვრული ჯგუფი ადგენს, უნდობლობა გამოუცხადოთ ამ რაზმს და არც ერთი მისი განკარგულება არ შევასრულოთო. მთავრობა ადგენს, დაარსდეს სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად შეიქმნას სასურსათო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც მთავრობის მიერ იქნება დანიშნული. საბჭო შეიკრიბა და პირველი მისი ნაბიჯი იმაში გამოიხატა, რომ მთავრობას დაუწყო დავა უფლებათა შესახებ და მოისურვა წინააღმდეგობის გაწევა. დღეს ერთი დაწესებულება უდგენს ულტიმატუმს მთავრობას, ხვალ მეორე დაწესებულება უცხადებს უნდობლობას მთავრობის ორგანოს, ზეგ ალბად ყველანი ესენი შეერთდებიან და საერთო ძალ-ღონით მოიტანენ იერიშს ჩვენი მთავრობისა და სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ

რა არის ეს, თუ არა აბუჩად აგდება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისა? ჩვენ გვეგონა და ეხლაცა გვგონია, რომ ერთად-ერთი წყარო და მატარებელი უფლებისა ჩვენში არის პარლამენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ყველა, ვინც პარლამენტის მიერ გამოცემულ კანონს და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის განკარგულებას ეურჩება, კონტრრევოლუციონურ მოღვაწეობას ეწევა ძირსა სცემს პრესტიჟს იმ დაწესებულებისას, რომელსაც განმტკიცება და ფესვების გადგმა ესაჭიროება.

როდესაც საქართველოს მთავრობასა და პარლამენტის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ჩვენი მტრები, ვიცით ამას რადაც სჩადიან. მათ ჰსურთ ამნაირი მოქმედებით ძირი გამოუთხარონ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც თავის განხორციელებას ჰპოვებს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, მათ ჰსურთ რაც შეიძლება მეტი უფლება გამოჰგლიჯონ ხელიდან მთავრობასა, მათ ჰსურთ რაც შეიძლება მეტად დასცენ მნიშვნელობა ეროვნულ საბჭოს მიერ გამოცემული კანონებისა ყველა ამას ისინი მხოლოდ იმიტომა სჩადიან, რომ გავლენა დაუკარგონ ეროვნულ საბჭოსა და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას საქართველოს მტრებმა ძალიან კარგად იციან, რომ დამოუკიდებლობის იდეის მატარებელი ჩვენი ეროვნული საბჭო და მისი მთავრობაა. იციან ისიც, რომ ძალა გავლენისა პირდაპირ პროპორციონალურია უფლების სიძლიერისა. იციან ეს და სწორედ ამიტომაც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი უფლება გამოჰგლიჯონ ხელიდან ჩვენს მთავრობას. სწორედ ამიტომ აჰიკჰიკდა ეს-ერების ორგანო საბჭოების შესახებ, სწორედ ამიტომ შეჰნატრის ისეთს ორგანიზაციების აღდგენას, რომლებიც თავიანთი ძალით, უფლებითა და გავლენით დაუპირისპირდებიან საქართველოს პარლამენტსა და მის მთავრობას

მაგრამ რით ავხსნათ, როდესაც ასეთსავე დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებენ ჩვენსავე წრეში? ეს ან პირადი კარიერიზმით უნდა აიხსნას, როგორც ეს რკინის გზაზე ჰხდება, ან სრულის გაუგებრობით და პოლიტიკური სიბეცით, როგორც ეს სასურსათო საბჭოში მოჰხდა.

თუ ჩვენ ამ გზით განვაგრძეთ სიარული, თუ მთავრობამ შემდეგშიაც ნებისყოფის ეხლანდელი სისუსტე გამოიჩინა. ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა და ორი უკან,—ძალიან მალე მოწმენი გავხდებით ისეთი მდგომარეობისა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ კანონს არარავინ არარავითარ ანგარიშს არ გაუწევს. ეს იქნება ევოლუციონურის გზით დასამარება ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონი უნდა კანონობდეს იმ დრომდის, სანამ თვით ეროვნულმა საბჭომ არ უარჰყო იგი, ვინც აცხადებს, ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონს უნდობლობა გამოუცხადოთ და არავითარი დახმარება არ აღმოუჩინოთ სახელმწიფოს ორგანოსაო, დამნაშავეა და სამართალში უნდა იქმნას მიცემული როგორც მეამბოხე და იმ ქვეყნის მოღალატე, სადაც სცხოვრობს და მოღვაწეობს.

ვერ მოსძებნით მეორე ისეთს სახელმწიფოს, სადაც ასეთი წესის ატანა მთავრობას შეეძლოს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ გალაშქრება ყველგან და ყოველთვის ამბოხება ყოფილა და იქნება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონის დემონსტრატიული უარყოფა არის ამბოხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ჩვენი რესპუბლიკის დარაჯმა,—მთავრობამ,—სათანადო პასუხი უნდა მოსთხოვოს იმათ, ვინც ჰბედავს და აცხადებს, ჩვენ არავითარ დახმარებას არ გავუწევთ სახელმწიფო დაწესებულებასაო

არ. ჯაჯანაშვილი

## მთავრობაში

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: კავკასიის ლაშქრის ზურგს უკან მყოფ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს გენ. კლიშევსკის და მის მდივანს ნემიროვსკის მიეცეს ათ მილიონიან ფონდიდან სალიკვიდაციო შემწეობად თითოს 1000 მანეთი

—

სამხედრო მინისტრის მოხსენებით დადგენილია შესდგეს განსაკუთრებული სამხედრო კომისია შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების წარმომადგენელთაგან, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა გამოარკვიოს, როგორც სამხედრო სამინისტროს, ისე ყველა უწყებების მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა სხვა და სხვა შემთხვევების გამო დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის საკითხი. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე, იმ პირთა დახმარების საკითხი, რომელნიც პოლიტიკური ბრძოლის თუ სხვა მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაზარალდნენ და სახელმწიფოსაგან დახმარებას საჭიროებენ.

—

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გერმანიის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულობის პროექტი, საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა შესახებ გადაეცეს კომისიას, რომელიც შესდგება გარეშე საქმეთა, მიწათმოქმედებისა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენელთაგან, წინასწარ განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენად, მხოლოდ არა უგვიანეს ერთი კვირისა

—

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 2384 მ. 12 კ. ტფილისის ყოფილ სათავად-აზნაურო ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა და მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად 1918 წლის სექტემბრის ჯამაგირებით.

—

დადგენილია მიეცეს განათლების მინისტრს 15,000 მან. ათ მილიონიან ფონდიდან, ქართულ გიმნაზიის ძველი ბინიდან გადმოსატანად და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად

—

დადგენილია მიეცეს განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 15,000 მან კადეტთა კორპუსის და საქალებო ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ უმწეოდ დარჩენილ მოსწავლე ქალთა და ვაჟთა დახმარების აღმოსაჩენად.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: სამხედრო-საველე სასამართლოს ყველა დადგენილებანი წარედგინოს სამხედრო მინისტრს სისრულეში მოსაყვანად და სხვა სათანადო განკარგულებისათვის.

—

დადგენილია: შეეცვალოს ალექსი მორბენაძეს სამხედრო საველე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით.

—

დადგენილია თანახმად მთავრობის 1918 წლის აგვისტოს 24-ს დადგენილებისა; მიეცეს იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 7.282 მან. 16 კაპ. სასამართლოს ზოგიერთ მოხელეთა დასაკმაყოფილებლად 1918 წ. მაისის 1-დან —აგვისტოს 1-მდე ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

—

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დროებითი კანონის შესახებ მიღებულ იქმნა, ხოლო იმ ცვლილებით, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია კიდევ უფრო გაფართოვებულ იქმნას და მათი საქმეების ქვემდებარება ისაზღვრებოდეს: სისხლის სამართლის წარმოებაში 2.000 მან. მაგიერ 3,000. ღირებულებით ნაპარავისა, გაფლანგულის, მითვისების ან მატყუარობით შეძენილისა, სამოქალაქო საჩივრებში კი 4,000 მანეთის მაგიერ 10,000 მანეთის ღირებულებით ყოველი საჩივრის; გარდა ამისა მომრიგებელ მოსამართლეთ მიეცეს უფლება მიუსაჯონ დამნაშავეთ წესდების მე-169, 173 და 177 მუხლებში აღნიშნულ ბოროტმოქმედებითათვის საპატიმროში ორი წლის ვადით დატუსაღება.

## უკანასკნელი ცნობები

**ალბულაღში გატაცებულ სამხედრო ქონების რაოდენობა**

სამხედრო მინისტრს ალბულაღიდან გენერალი წულუკიძე ატყობინებს, რომ გამომძიებელმა კომისიამ გამოარკვია დაწვრილებითი რაოდენობა ალბულაღის ცეიხჰაუზებიდან დატაცებულ სახელმწიფო ქონების ღირებულებისა, რაიც 2600200 მანეთს უდრის. ამის მიხედვით აუნაზღაურებელი ხარჯები გაწერილია იმ სოფლებზე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ძარცვა-გლეჯაში. შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშით მიბრძანა ამ საზღაურის მესამედი ეპატიოს იმ ძარცვლებს საიდანაც მხოლოდ სახაზინო გადასახადები გამოერიცხებათ. საზღაურის გაღებას აჭიანურებენ, მე ვადა გავუგრძელე 10 ოქტომბრამდე ხოლო თუ ამ დროისთვის არ გადაიხდიან, ნება მომეცით ჯარი მათის ხარჯით ვასაზრდოვო როგორც გამოირკვა, სოფ. ქვიშის მცხოვრებთ სრულებით არ მიუღიათ ძარცვაში მონაწილეობა, მაგრამ საზღაური გადაიხადეს და დამავალეს ვიშუამდგომლო, რომ მათ მოაშოროთ მძარცველთა სახელი.

**ლტოლვილთა გაძარცვა**

სექტემბრის 24-ს ალბულაღის ლტოლვილებმა ხორბლის სასყიდლად გაგზავნეს 5 წარმომადგენელი, რომელთაც გზაში სოფ. დმანისისა და ახტალის შუა 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხნენ და გაძარცვეს. წაართვეს 5000 მანეთი ფული და ფასიანი ნივთები სულ 13371 მანეთად ღირებული. ერთი მათგანი ტყვედ წაიყვანეს და დანარჩენთ განუცხადეს, თუ სექტემბრის 29-მდე 10 ათას მანეთს არ შემოიტანთ ტყვის გამოსასყიდად, იგი მოკლულ იქმნებაო ეჭვით დააპატიმრეს მცხოვრები სანდრო დილიშვილი, რომელიც სატუსაღოდან გაიქცა. გენერალმა წულუკიძემ გატაცებული ფული სოფ. დმანისს გააწერა ლტოლვილთა სასარგებლოდ. ამ რაიონში ზოგიერთმა აჯანყების და სახელმწიფო ქონების დატაცების მეთაურებმა ყაჩაღთა ბრბოები შეადგინეს და ამ სოფლების მახლობლად იმალებიან.

## საქართველოს პარლამენტი

აკ. ფალავას სიტყვა.

(ოქტომბრის 1)

ასეთ პირობებში ძნელია თქმა ყოველივე იმის, რაც სათქმელია, მაგრამ ვეცდები ამ წუთშიაც მთავარი მოსაზრებანი გაუზიარო საბჭოს, ხოლო ვიდრე ჩვენს მოსაზრებებს მოგახსენებდეთ, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ აქ არავის ვებრძვით, პირიქით გვინდა გავამაგროთ ის მთავრობა, რომელიც დღეს სათავეში უდგას ჩვენს ქვეყანას, რადგანაც გვწამს, რომ ეგ ერთად-ერთი საშუალებაა ჩვენი ხსნისა. სწორედ ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ნაკლი, შეცდომა, პარლამენტის ტრიბუნიდან, რათა ქვეყანამ იცოდეს, რომ ჩვენ ფხიზლად დარაჯად ვუდგივართ ჩვენს სამშობლოს და ყოველივე სიბოროტეს გამოვააშკარავებთ. ჩვენ გვწამს, რომ ამ გზით შევასუსტებთ და შევამცირებთ იმ აურაცხელ ბოროტმოქმედებათ, რომელთა მსხვერპლი ხდება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა. შეიძლება სთქვან—ეგ წვრილმანებიაო, მაგრამ სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს წვრილმანები ჰიასავით ღრღნიან ჩვენს ახლად ფეხადგმულს სახელმწიფოს. ამან მიიღო ეპიდემიური ხასიათი და აი ჩვენ ვხედავთ ბევრგან და განსაკუთრებით სურსათის საქმის გარშემო ნამდვილ ვაკხანალიას, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს. მართალია ჩვენ და ჩვენს მთავრობას ათასგვარი დაბრკოლებანი ელობება წინ მაგრამ ასეთ პირობებშიაც ჩვენ ვხედავთ მიუტევებელსა და შეუწყნარებელ შეცდომებს ამ შეცდომათა რიგს ეკუთვნის, თუნდაც ის ორი განცხადება, რომელიც ინება ბ. მინისტრთა თავმჯდომარემ, პირველი ჩვენ სასურსათო საქმის სარევიზიოდ დავნიშნეთ ბ. ალ. ჯაფარიძე, რომელიც მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე იყოო. ეს განცხადება სავსებით სინამდვილეს არ შეეფერება, ბ. ჯაფარიძე იყო, არამც თუ მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე, არამედ ამავე დროს ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეც კარგა დიდხანს თავმჯდომარეობდა სწორედ სასურსათო საქმის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციას—ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, საიდანაც ბ. ჯაფარიძე იძულებული შეიქნა წასულიყო ბ. ჯაფარიძევე თანამშრომლობდა ერთ ერთ სასურსათო მოღვაწე—პურის დამზადების მთავარრწმუნებულ ბ. არდიშვილთან. ერთი სიტყვით ალ. ჯაფარიძე იდგა სასურსათო საქმეთა შუაგულში და ასეთი ადამიანი ინიშნება თავის თანამშრომელთა და საკუთარი ნამოქმედარის სარევიზიოდ. ჩვენ ეს შეუწყნარებლად მიგვაჩნია და მხოლოდ შემთხვევას (ამ ჟამად ბ. ჯაფარიძის ავად გახდომას) უნდა უმადლოდეთ, რომ იგი არ დარჩა რევიზორად. თორემ ბ. პრემიერი დღესაც იცავს თავის დანიშვნას და ზემორე აღნიშნულ ფაქტში საჩოთიროს არასა ხედავს. მეორე დებულება ბ. მთავრობის თავმჯდომარისა „ჩვენ საბჭოს გადაწყვეტილებამდი გამგებლობის წესით გავაუქმეთ სასურსათო სამინისტრო და შევქმენით ახალი დროებითი ორგანიზაცია, რომელიც თუ არ გამოგვადგა, ჩვენგანვე, იმავე გამგებლობის წესით, უფრო ადვილად შეიცვლება, ვიდრე კანონმდებლობის გზით შექმნილი ორგანოო“. ამის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ სურსათის საქმე იმდენად დიდი, რთული, მწვავე და მასთან საბედისწერო საკითხია დღევანდელს პირობებში, რომ ჩვენ თავიდანვე მოვითხოვეთ ამისათვის სერიოზული ყურადღება მიექცია მთავრობას და ამ საკითხის საბჭოში ყოველმხრივი განსჯის შემდეგ გადაედგა ესა თუ ის ნაბიჯი. ეს ასე არ მოხდა და მთავრობამ მომხდარი ფაქტის წინაშე დაგვაყენა, ისეთი ფაქტის, რომელსაც ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ თუ რა მიზეზით და რატომ მიგვაჩნია ესეთი ორგანიზაცია მიუღებლად და რა იყო სასურველი, ჩემმა ფრაქციის ამხანაგმა თ. ღლონტმა სავსებით განმარტა აქ და მე მას არ გავიმეორებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დებულება ბ. პრემიერისა ჩვენთვის მიუღებელია, საქმეს სისტემის ხშირი ცვლა კი ვერ გამოასწორებს, ფორმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ შინაარსს. სისტემის ხშირი ცვლით თქვენ სწორედ ხელს უშლით საქმის ნორმალურ მსვლელობას. ვერ მოუსწრია ერთ ორგანოს კალაპოტში ჩადგეს, მეორე სცვლის. ჩვენ შინაარსს ვაქცევთ უმთავრეს ყურადღებას და ვამბობთ: დარჩეს ძველი ორგანიზაცია—სასურსათო სამინისტრო, ხოლო გასწმინდეთ იგი, განაახლეთ, შეცდომები გაასწორეთ, ბოროტმოქმედებანი აღმოფხვერით და საქმეც რიგზე წავა. ამის დასამტკიცებლად ორ შტრიხს აღვნიშნავ, იყო დრო, როდესაც სას. სამ—როს ყველა ჯურისა და კუთხის სპეკულიანტები ბუზივით ეხვეოდა და ვინც სას. სამ. ცხოვრების ამ ეპოქაში იქ შეიხედავდა განცვიფრებული გამოდიოდა. ალბად იქ იყო თაფლი და თაფლის წუწვნა ადვილი იყო ყველა სპეკულიანტებისათვის. საკმარისი შეიქნა მცირეოდენი ცვლილება სამინისტროში—პრესასა და საზოგადოებაში ატეხილი განგაშის შემდეგ ბ. სურსათის მინისტრი თვით ჩაუდგა უშუამავლოდ ამ საქმეს და ბ. სპეკულიანტები მიმოიფანტნენ. საქმემ ნორმალურ კალაპოტში იწყო დენა. ამავე დროს ნახულ იქნა ის საარაკო ხელშეკრულებანი, რომელთა მსგავსს გიმნაზიელიც არ შეკრავს, არამც თუ მინისტრის ამხანაგი. ეს საბედისწერო ხელშეკრულებანი ბ. ლავასოვსთან და სხვებთან, რომელთაგან 12-დან 11-ტი სრულიად უვარგისად თვით პრემიერმა აღიარა, და მთავრობას გაუუქმებია, არ იყო შემთხვევითი ხელშეკრულებანი; ასეთი საქმიანობა დამახასიათებელი იყო მაშინდელ სასურსათო სამინისტროსი. სად გაგონილა, ვისაც მოესურვება საშუალებანი და გარანტია მისცეთ გაზიდოს შენი ქვეყნიდან აურაცხილი სიმდიდრე (ჩაი, შაქარი, თამბაქო, ღვინო და სხვ.., ისე რომ ნაცვლად არავითარი იმედი არ იყოს სამაგიეროს შემოტანისა?

ხომ გამოაშკარავდა, რომ ათას ფუთობით გაჰქონდათ მაგალითად შაქარი ადერბეიჯანში და ისეთ პირობებში, რომ ბალღიც კი იტყოდა წინასწარ, ამ შაქრის მაგივრად ჩვენ ერთ მარცვალ პურსაც ვერ მივიღებდით. პირდაპირ კლასიკური მაგალითი ასეთი აშკარა ბოროტმოქმედებისა ჩემზე წინ მოლაპარაკე ორატორმა ბ. პ. ქავთარაძემ აღნიშნა. განა მარტო ის ფაქტი, რომ ქუთაისის სასურსათო კომიტეტში ერთ თათარს განუცხადებია: ჯერ პურს მოგიტანთ და მერე მომეცით შაქარიო— უარუყვიათ მაშინ, როდესაც იგივე კომიტეტი ატანდა შაქარს ისეთ ხალხს, რომელიც მხოლოდ შაქრის ადერბეიჯანში გატანის შემდეგ ჰპირდებოდა სრულიად უგარანტიოდ პურის მოტანას ალმაშფოთებელი არ არის? განა ეს არ კმარა იმისათვის, რომ ასეთმა ორგანიზაციამ დაუყონებლივ პასუხი აგოს და საქმეს თავი დაანებოს? თქვენ იტყვით, რომ ერთი ასეთი სპეკულიანტთაგანი—ბ. ნარსია დაატუსაღეს, მაგრამ მე გეკითხებით—სად არის და თავისუფლად დასეირნობს თუ არა ის აგენტი სასურსათო კომიტეტისა, რომელიც თან ახლდა ბ. ნარსიას? ბ. ირ. წერეთელი იძლევა რეპლიკას მაგას რევიზია გამოარკვევსო—დიახ, მეც ამის იმედი მაქვს, მაგრამ აქვე არ შემიძლიან არ უპასუხო ბ. სურსათის მინისტრს ერთი განცხადების გამო ბ. ლორთქიფანიძემ ერთ ჩვენს ამხანაგს—ლ. მეტრეველს უსაყვედურა, როდესაც ბ. მეტრეველმა თურმე სთხოვა მას მიეცა საშუალება ერთი ფაქტის გამორკვევისა. იცით არა, ბ. ეროვნულ საბჭოს წევრნო—თუ რა ძნელია მიკვლევა და საბუთებით დამტკიცება ისეთ ბოროტმოქმედებათა, რომელთაც ადგილი ჰქონიათ სასურსათო საქმის გარშემო? თუ აქ, ცენტრში, რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, მაგალითად ისეთ დაწესებულებაში, როგორიცაა ქალაქის გამგეობა, რომლის—თავიცა და წევრნი აქაცა სხედან, შეუძლებელია უბრალო ცნობის მიღება რა უნდა იყოს სხვაგან. თქვენ გითხრეს აქ, რომ მთავრობას ჰყავს ისეთი აგენტები, რომელნიც თვითონვე აფრთხილებენ ვაჭრებს—დაიცადეთ, მალე ფასები აიწევს და მაშინ მოგვეცით საქონელიო, ამას სჩადიან ისეთი აგენტები, რომელთაც ჩვენი ხაზინა აძლევს ჯამაგირს და რომელთაც დავალებული ჰქონდათ მოეკრიბათ მთელს დასავლეთ საქართველოში მოკვის ჩაი. მერე როგორ გინდათ დაამტკიცოთ, რომ აგენტმა ასეთი რჩევა მისცა სპეკულიანტს? რომელი ჭკუათა მყოფელი აგენტი და კონტრაგენტი გასცემს ერთმანეთს? აქ მხოლოდ შემთხვევით თუ გაიგებთ ჭეშმარიტებას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ათასჯერ ჭეშმარიტებაა, თქვენ ულონო ხართ ასეთი ბოროტმოქმედება საბუთებით ცხადჰყოთ. მაშინ როდესაც სას. სამინისტროს თავისი აგენტები

ცნობას აწვდიდნენ, კარგად მიდის საქმეო, ნაცვლად 20 ათასი ფუთი ჩაისა მხოლოდ 2 ათასი აღმოაჩნდათ დამზადებული. ამავე სამინისტროში ზის ჩვენი მტერი და მოძულე ბ. ავდეევი, რომელიც ჩვენს მინისტრებს მოლალატეებსა ეძახის (მაგ. ჩხენკელს) და მისთვის კუთვნილი ადგილი დღემდის არ უჩვენებიათ.

განა მარტო ავდეევია ასეთი? იქ არიან სხვებიც, რომელთა „მოღვაწეობა“ ზიანის გარდა ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. დასასრულ მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას ს.-დ ფრაქციის წარმომადგენელი ბ. კიკვაძის განცხადებებს ერთი—მან აღიარა არ არის სათანადო შეგნებაო. სავალალოდ და სამწუხაროდ ეს უნდა დადასტურდეს, მაგრამ საკითხავია, რად არ ვიქცევით ისე, რომ ამას სათანადო ანგარიში გაეწიოს? განა მოსათმენია ისეთი მოვლენა, რომელსაც სწორედ ამ ჟამად, ამ წუთებში აქვს ადგილი? კახეთის ერთ-ერთ სადგურზე გამოცხადდა ორი წარმომადგენელი ლანჩხუთისა პურის წასაღებათ ერთი დოკუმენტებით აღჭურვილი, მეორე უდოკუმენტოთ. აქ სადაო ხომ არაფერია—ვისაც საბუთები აქვს, პურიც მან უნდა გაიტანოს არა მთავრობის მოხელე მაინც არბენინებს ხალხს, უკარგავს დროს და აწევინებს ხარჯებს სრულიად უმართებლოდ. თქვენ გგონიათ ამისთვის მას ვინმე ხმას გასცემს? მერწმუნეთ—გაცილებით უარესი დანაშაულობანი სრულიად შეუმჩნევლად ტარდება.

იმავე ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა: ს.-დ. ფრაქცია იმუშავებს კანონ პროექტს სახელმწიფო ქონების გაფლანგვის წინააღმდეგო. ეს განცხადება მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. გამოდის, თითქოს ვიდრე ასეთ კანონს ჩვენი საბჭო არ მიიღებს, სახელმწიფო ქონების დაუსჯელად ფლანგვა შესაძლებელი იყოს მე იურისტი არა ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმ კანონებშიაც, რომლებითაც ჩვენ ეხლაც ვსარგებლობთ მოიპოვება, სათანადო მუხლები ხსენებული დანაშაულისათვის. მაშ რაშია საქმე? საქმე ის გახლავთ, რომ საჭიროა მეტი შეგნება და პასუხისმგებლობა, რომელსაც დღეს ჩვენში იშვიათად თუ ვინმე გრძნობს და თუ არ გრძნობს იმიტომ, რომ პასუხს არ სთხოვენ. დრო მეტი ლაპარაკის ნებას არ მაძლევს და მე ამით ვათავებ ჩემს სიტყვებს.

კრება დღის $1\frac{1}{2}$ საათზე იხსნება. ქ. **ჩხეიძის** თავმჯდომარეობით.

**ი. აბაკელია** კითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონებს და დღიურ წესრიგს.

**შ. ამირეჯიბი** კითხულობს წარსულ კრებაზე მიღებულ კანონების საბოლოო რედაქციას. კრება ადასტურებს ამ რედაქციებს და გადადის მორიგ საკითხთა გახხილვაზე.

**კანონ-პროექტი ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა.**

**პ. საყვარელიძე.** ეს საკითხი სახელმწიფოსათვის მაინცა და მაინც დიდ პრინციპიალურ საკითხს არ შეადგენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი სათანადო ყურადღებით არ გადაიჭრას. როგორც მოგეხსენებათ, ეროვნულ საბჭოს სახელის შეცვლის შესახებ მრავალი აზრი და წინადადება არის წარმოდგენილი შესაფერის დასაბუთებით. ამათში ერთი უმთავრესი წინადადება სოც.-დემ. ფრაქციას ეკუთვნოდა. ისინი ითხოვენ, რომ ჩვენ საკანონმდებლო დაწესებულებას **საქართველოს პარლამენტი** ეწოდოს. საკონსტიტუციო კომისიამ, სადაც ირჩეოდა ეს კანონი და რომლის ერთი წევრი მე გახლდით, გადასწყვიტა ჩვენს საკანონმდებლო ადგილს დაერქვას ეროვნულ საბჭოს დარბაზი. ეს სიტყვა შეეფერება სტილის მხრივაც და განსაზღვრავს შინაარსაც. პარლამენტი თავის თავად ევროპის ყველა ასეთ დაწესებულებას ჰქვიან, მაგრამ მათ თავის საკუთარი სახელიცა აქვთ მაგალითად: „რეისხტაგი“ „რიგსტრატ“. „რეისხტრატი“ და სხვა მრავალი. სიტყვა **დარბაზი** კი ტრადიციულადაც გვაახლოვებს საკანონმდებლო დაწესებულებასთან. თუმცა მრავალი ტრადიცია მავნებელია და უარსაყოფი, მაგრამ ის ტრადიცია, რომელსაც წარმატებისაკენ მიჰყავს სახელმწიფო, უნდა შევინახოთ და სახელმძღვანელოდ გავიხადოთ. მართალია, ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ეს ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტური კი არ უნდა იყოს, არამედ ჩვენ უნდა განვსხვავდებოდეთ ჩვენის **ქართველობით.** ჩვენს პარლამენტში ჩვენი სახე უნდა სჩანდეს ხოლო ევროპიულ პარლამენტში ჩვენი შინაარსი უნდა შევიტანოთ. ამიტომ, მე მომხრე ვარ სიტყვა დარბაზისა და იმედი მაქვს საბჭო დაადასტურებს კომისიის ამ დადგენილებას.

**ა. ლომთათიძე** (ს.-დ.) ეკამათება მომხსენებელს და ასაბუთებს „პარლამენტის“ შესაფერებლობას—ხოლო დარბაზი ხალხს ისე ესმის, როგორც უზარმაზარი თავლა, სადაც ცხენები უნდა დააბინაონო. (საბჭოს წევრები და სტუმრები იცინიან და ისმის ხმები: „არა გცოდნიათ“ „უნდა გაგვეგოთ“) ჩვენი ფრაქციის შეხედულება. საქართველოს პარლამენტი სავსებით მისაღებია და გამოჰხატავს შინაარსით დღევანდელ ჩვენს საბჭოს.

**გ. ჩერქეზიშვილი** (ს.-რ.) სიტყვა პარლამენტი, ზოგადი სახელწოდებაა და საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებას თავის შესაფერი სახელი უნდა ეწოდოს. მაგრამ არის უფრო სერიოზული დაბრკოლება: ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულების სახელის ასეთი ძირითადი შეცვლა საქართველოს დამფუძნებელ კრების საქმეა და ეს საკითხი არც კი უნდა არსებობდეს ამიტომ საჭიროა ისევ ისე დარჩეს, როგორც აქამდე.

**შ. მიქელაძე** (ს. ფ.) ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის საბჭო ეს სიტყვა სავსებით შესაფერი და მისაღებია.

**რ. გაბაშვილი** (დამ. ნ.-დ.) იცავს „დარბაზს“ და ამბობს: აქედან წარმოსდგება სიტყვა „დარბაისელი“ და თუ ჰფიქრობთ, რომ დარბაისელი არ შეგეფერებათ, მაშინ მართლაც ნუ დაუძახებთ.

**თავმჯდომარე** შენიშნავს გაბაშვილს, როდესაც ლაპარაკობთ თავდაჭერილი და თავაზიანი იყავითო.

**ე. თაყაიშვილი** ასაბუთებს, რომ საქართველოს ყველაზედ მეტად უყვარდა უცხო სიტყვათა შეთვისება, როდესაც მას საკუთარი უფრო შესაფერი ტერმინები მოეპოვებაო. იგი იცავს საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს.

მომხსენებელი უპასუხებს ორატორებს და შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას. ხმის უმრავლესობით სწყდება ეროვნულ საბჭოს სახელი საქართველოს პარლამენტად შეიცვალოს. იმ კენჭის ყრაში სომეხთა წარმომადგენლებმა სოციალ-დემოკრატებს აძლევენ ხმას.

**კანონ. პროექტი 1909 წლის მარტის 18-ის კანონით დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ.**

**ი. ბარათაშვილი** კითხულობს ამ კანონს რომლის ძალითაც ესპობა პენსიები და დახმარებანი საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან იმ პირთ, ვისაც ეს პენსიები საქართველოს დემოკრატიზმთან ბრძოლით ლაუმსახურებიათ. კრება ამ კანონს უკამათოდ ამტკიცებს.

კრება დღის სამ საათზე თავდება

# ომის დეპეშები

## დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი.** 10—4. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში მტერმა იერიში მოიტანა ხოოგლედეს და როზელერს შუა. სტადენ-როზელერის გზატკეცილის ორივე მხრით მტერი ჩვენს ხაზებში შემოიჭრა. ბავარიისა და შლეზვიგის ჯარმა იგი უკან გარეკა. კამბრესთან ახალი არაფერია. ობენშეილის სამხრეთით და პროვილთან ნაწილობრივი ბრძოლაა. აქ ჩვენ 70 კაცი დავატყვევეთ.

**ბოინეს ლაშქარი.** ფართო ფრონტზე, ლე კატლეს და სენ-კანტენის ჩრდილო ნაწილს შუა რომ არის, ინგლისელებმა გაიმეორეს თავისი ცდა ფრონტის გარღვევისა. პირველი იერიშის დროს მტერმა აიღო ლე-კატელე და ბორევოდე (?) წაიწია. და აგრეთვე შეიჭრა სევეხარტში ლე-კატელეს ორივე მხრით მტერი განვდევნეთ. მის პოზიციებისაკენ და იმის იქითაც. საქსონიის, რეინის და ლორენის ბატალიონებმა კვლავ აიღეს ბოეგენი სეკეხარტი მტრის ხელში დარჩა. სალამოს სენ-კანტენის სამხრეთით მტერმა იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენი ხაზების წინ დამარცხდა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** შენ-დე-დამთან სასტიკი საავანპოსტო ბრძოლა გუშინაც გრძელდებოდა. იტალიელების იერიში მოვიგერიეთ. ახალ ფრონტზე მდ. ენთან და რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით არხთან ჩვენ მტერთან ბრძოლა გვქონდა შამპანში ფრანგებმა ფრანგებისა და ამერიკელების ახალი ძალების დახმარებით იერიშები მოიტანეს ფართო ფრონტზე სიუიპრსა და ენს შუა. ვესტფალელებსა და მსროლელმა პოლკებმა გუშინ მტრის ყველა იერიში მოიგერიეს სიუიპის აღმოსავლეთით და სენ მარი-ა-პის მახლობლად, და 100 კაცი დაატყვევეს. სომ-პის ჩრდილოეთით მტერი გამაგრდა სენ-ეტიენსა და სამმა-პის შუა, თეთრ მთასა და მედენის (?) მაღლობზე ორფეილსა და ენს შუა მტრის იერიშები ჩვენი ხაზების წინ დამარცხდა ლისის სამხრეთით და მონტუას სამხრეთ-დასავლეთით სასტიკი ბრძოლა იყო. ვვარდიელებმა აქ მტერი უკან გარეკეს. ბავარიელ საპიორთა დახმარებით ყელერონეი დავიბრუნეთ. სალამოს განმეორებული იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა.

**საჰაერო ბრძოლაში** გუშინ მტრის 25 ჰაეროპლანი ჩამოაგდეთ და 7 საჰაერო ბალონი.

**ბერლინი.** 10—4. სალამოს ცნობა. მტრის ძლიერი იერიშები როზელერის ორივე მხრით სენ-კანტენის ჩრდილოეთით, შმენ-დე დამთან და შამპანში მოვიგერიეთ. არგონებსა და მაასს შუა ამერიკელებმა გაიმეორეს ცდა და ფრონტის გარღვევა უნდოდათ მაგრამ დამარცხდნენ.

# ბულგარეთის ამბები

**სტამბოლი.** 8—10, თალაათ-ფაშამ სთქვა, ბერლინის მოლაპარაკება ოსმალეთის ინტერესების დაკმაყოფილებით დამთავრდაო. მოკავშირეების მიერ მიღებულ ზომებით ბულგარეთის მოქმედება შეჩერებულია. ოსმალეთის მთავრობას ყველა საჭირო ზომები მიუღია.

**ბერლინი.** (უდატო). დანიის გაზეთი „ფრენდლი“ იუწყება: მალინოვის საქციელი საკვირველი არაარ. ნიუკურანტი“ სწერს: „ბულგარეთის საქციელი გერმანელებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ძლიერ მოსაწონია ის სიმშვიდე, რომლითაც რეიხსტაგის მთავარი კომიტეტი განაგრძობს მოქმედებას შინაურ კრიზისზე.

# უცხოეთი

## ტროცკის დაჭრა.

**კოპენჰაგენი.** ოქტომბრის 3-ი. ჰელსინგფორსიდან მოსულ ცნობების მიხედვით ციმბირის ქალაქ კაინსკში ტროცკის მოკვლა განუზრახავთ. ტროცკი რევოლვერით დაუჭრიათ მხარში, არა სასიკვდილოდ.

### იაპონიაში

**ლონდონი.** 3—10. „რეიტერის“ ცნობით იაპონიაში ახალი სამინისტრო შემდგარა. კატო საზღვაო მინისტრად რჩება.

# ახალი ამბავი

**ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ლექციების კითხვა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ყველა დარგებში დაიწყება ოქტომბრის 1Ⴍ-ს. დანარჩენ ფაკულტეტებზე ლექციების კითხვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

**შრომის სამინისტროში.** დაბრუნდა შრომის სამინისტროს საქმეების გამგე ი. გოლდმანი, რომელიც ბორჯომში იყო გაგზავნილი შრომის სამინისტროსაგან ბორჯომში მუშების კონფლიქტის მოსაგვარებლად.

**ბოლშევიკის შეპყრობა.** ონიდან დეპეშით ატყობინებენ სახალხო რაზმის მთავარ შტაბს, რომ იქ შეიპყრეს ბოლშევიკების მეთაური ნოე ლეჟავა.

**მატარებლის გამგზავრება.** დღეს ერევანში პირდაპირი მატარებელი გაემგზავრა.

**მცხეთაში.** ოქტომბრის 4-ს მცხეთიდან დეპეშით იტყობინებიან: „დღეს, სალამოს 10 საათზე, გაუგებარ მიზეზით მე-27 ვერსზე დაიწვა ხიდის ერთ ნახევარი საჟენი მცხეთასა და ავჭალის შუა.

**გაძარცვა.** ღამით, ოქტომბრის 4-ს კუკიის ქუჩაზე № 3, ა გრიგორიანცის ბინაზე შევიდა 5 შეიარაღებული კაცი და მოკვლის მუქარით გრიგორიანცს წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები, სულ 26,750 მანეთის. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

**რაუტი** ბაქოს აღების შემდეგ განჯის ქალაქის თვითმართველობამ გამართა რაუტი ნური-ფაშასთვის.

**მეპურეების ჩხუბი.** ოქტომბრის 4-ს დილის 11 ნახ საათზე ერთ მეპურეთაგანმა პუშკინის ქუჩაზე გამოიტანა თეთრი პური და გაყიდა გირვანქა 5 მ. 25 კ. დაინახეს ეს თუ არა სხვა მეპურეებმა დაუწყეს ცემა, პურს იაფად რად ჰყიდიო.

ტფილისში მოსულ ცნობებით, ნური-ფაშამ ყარაბაღში თან წაიყვანა არხიმანდრიტი ლეონი იქაურ სომხებთან მოსალაპარაკებლად.

**ოფიცრის დაჭრა.** სექტემბრის 4-ს ღამით სასტუმრო „ანგლეტერ“-ში (მოსკოვის და ოლღის ქუჩების კუთხე) სროლა ატყდა. დაიჭრა ოფიცერი დუმბაძე, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

### კრებები.

**ქართული იურიდიული საზოგადოების კრება.** ქართულ იურიდიულ საზოგადოების კრება დანიშნულია დღეს კვირას, ღვინობისთვის 6-ს, დილის 11 საათზე, სასამართლო პალატის დარბაზში. კრების საგანი: 1. წესდების დამტკიცება. 2. გამგეობის, სარევიზიო კომისიის, ხაზინადარის და წიგნთსაცავის გამგის არჩევნები. ქართველ იურისტებს სთხოვენ შეძლების და გვარად უკლებლად დაესწრონ ხსენებულ კრებას. საორგანიზაციო კომისია

დღეს, ღვინობისთვის 6-ს, ნაშუადღევის 1-ელ საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. საქართველოს განსვენებულის კათალიკოზ-პატრიარქის, კირიონ მე-2 ის სახელის პატივსაცემად, უნდა მოხდეს **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება, რომელიც იყო დანიშნული ენკენისთვის 29-სათვის, მაგრამ დამსწრე წევრთა სიმცირის გამო გადადებულ იქმნა. წაიკითხავენ მოხსენებებს: 1) მ. გ. ჯანაშვილი „მისი უწმიდესობა კირიონი“, და 2) ლ. მელიქსეტ-ბეგი —„კირიონი რუსულ ისტრიოგრაფიის ასპარეზზე.“ კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

**„ალიონელთა“ კრება.** დღეს ოქ. ოქტომბრის, 6-ს დილის 10 საათზე გაზ. „ალიონის“ რედაქციაში დანიშვულია შეერთებული კრება „ალიონის“ ჯგუფისა და საპარლამენტო ფრაქციისა. პრეზიდუმი სთხოვს ყველა წევრებს დაესწროს ამ კრებას, რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია განსახილველი.

**ლექცია** დღეს ოქტომბრის 6-ს დილის 12 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო განყოფილებაში (სასახლის) ქ. № 11 ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში შესდგება ლექცია ბ-ნ თილოვან ვესტერჰაგენისა შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომიანობით შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ. ლექციას თან ახლავს ბუნდოვანი სურათები. საჭიროა, ჩვენი საზოგადოება ყურადღებით მოეკიდოს ხსენებულ ლექციას. ლექციის შემდეგ კამათი.

**ქართ. წარმ. მართველ წრეში.** დღეს ოქტომბრის 6-ს წრის ბინაზე (მიხაილოვის ქ № 102) სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია საზოგადო კრება დილის 11 ს. განსახილველია ხარჯთაღრიცხვა, წარსული სეზონის ხარჯების გახხილვა და გამგეობის არჩევნები.

**სახ. კომიტეტის კრება.** მე-9 საუბნო სასურსათო კომიტეტი იწვევს ყველა მოქალაქეთ და სახლის კომიტეტების წარმომადგენელთ, რომლებიც სცხოვრობენ დაწყებული ვორონცოვის ხიდიდან, მიხეილის ქუჩის ორივე მხარეზე, დიდი მთავრის ქუჩაზე, ელისაბედის მარჯვენა მხარეზე კიროჩნის ქუჩამდე, კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, ღვინობისთვის 6-ს, ხელოსანთა კლუბის შენობაში, მიხეილის ქუჩაზე რომ არის. დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება მე-9 სასურ. კომ. წარმომადგენლისა და 2) რაიონის კომიტეტების მოწყობა და გამგეობის არჩევა.

დღეს, ოქტომბრის 6 დილის ათი საათისთვის დანიშნულია სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (გოლოვინის ქუჩა) აფთიაქში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება. დღიური წესრიგი: ძველი გამგეობის მოღვაწეობაზე მოხსენება და ახალი გამგეობის არჩევნები. თუ ათ საათზედ არ შესდგა ქვორუმი, მეორე კრება ინიშნება თორმეტ საათზე იმავე დღეს.

**სამეგრელოს დამხმარ კომიტეტისა და ეროვნულ საბჭოს** მეგრელ წევრთა შეერთებული კრებაა დანიშნული სასახლეში, (დღეს ოქტომბრის 6-ს, დილის 12 საათზე, საფინანსო კომისიის ოთახში, № 23 კრების საგანია: სამეგრელოს ადმინისტრაციის რეორგანიზაცია: ვთხოვთ ზემოდასახელებულ დაწესებულებათა წევრთ უსათუოდ დაესწრონ და არც დაიგვიანონ.

**მატარებლის დამსხვრევა კახ. რკ. გზაზე.** ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილ ცნობას უნდა დაემატოს, რომ რელსებს ამცდარი ორი ვაგონი იქვე სადგურთან, შეასწორეს და ამიტომ 10 საათით შეწყდა მიმოსვლა, რის შემდეგ მატარებელი ტფილისაკენ გამოემგზავრა.

**ე. გეგეჭკორი,** რომელიც ყუბანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

**ფილ. მახარაძის და ს. ქავთარაძის თხოვნა.** ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ თხოვნით ამ ჟამად კავკავში მყოფი ბოლშევიკები ფილიპე მახარაძე და სერგ. ქავთარაძე საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობენ: ნება მოგვეცით სამშობლოში დავბრუნდეთ და ჩვენის მხრით საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს ავიღებთო

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, ოქტომბრის 6, დილის 10 საათზე, პარტიულ დარბაზში დანიშნულია საქართველოს რკინის გზების ცენტრალურ კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები.

—

**სეირნობის მომწყობ ამხ. კრება** კვირას, ოქტომბრის 6 დილის 11 საათზე დანიშნულია კრება იმ ამხ. ქალთა, ვინც მონაწილეობას მიიღებს სეირნობის გამართვაში, რომელსაც ჰმართავს ტფილისის საქ. კომიტეტი თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ამხ. ვსთხოვთ ნუ დააკლდებიან.

—

**მუშათა კავშირის გამგეობ კრება** ორშაბათს, ოქტომბრის 7-ს სალამოს 7 საათზე დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება.

ამხ. ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

—

**მთავარი კომიტეტის კრება** დანიშნულია დღეს, ოქტომბრის 8-ს, დილის 11 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

—

**სიღნაღის სამაზრო ყრილობა** დღეს, ოქტომბრის 6-ს, დილის 1 საათზე ქ სიღნაღში ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტების სამაზრო კრება მე-3 თავისუფალ კონფერანციაზე მოხსენებათა მოსასმენად კრებას დაესწრება ტფილისიდან ეროვნ. საბჭოს წევრი ამხ. აკაკი ფაღავა.

# ქართული იურიდიული საზოგადოება

კვირას, ღვინობისთვის 6 ს ტფილისის სასამართლო პალატის დარბაზში გაიმართება საორგანიზაციო კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოებისა. ქართველ იურისტთა პირველ კრებაზე არჩეულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა წესდების პროექტი და ეს უკანასკნელი წარუდგინა დასამტკიცებლად ხსენებულ კრებას იგივე კრება აირჩევს იურიდიულ საზოგადოების პირველ საბჭოს (გამგეობას).

კომისია მოუწოდებს ყველა ქართველ იურისტს დაესწრონ საორგანიზაციო კრებას. წინასწარი გაცნობა წესდების პროექტისი შეიძლება იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში ყოველ დღე 10—3 საათამდე.

აქვე მოგვყავს ზოგიერთი მუხლები წესდების პროექტისა:

§ 1. საზოგადოების მიზანია—ყოველმხრივი შესწავლა ქართული სამართლისა (ძველი კანონმდებლობა, ადათ-ზნე ჩვეულებანი, ტერმინოლოგია და სხვ.) და მეცნიერული გამოკვლევა სხვა და სხვა იურიდიული საკითხებისა.

**საზოგადოების მოქმედება.**

§ 2. § 1-ში აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოება:

ა. მართავს კრებებს და სხდომებს მოხსენებების მოსამენად და გასარჩევად;

ბ, მართავს ფასიან და უფასო ლექციებს და სამეცნიერო საუბრებს;

გ. გამოსცემს ჟურნალს, თავის შრომათა კრებულს და კერძო თხზულებებს;

დ. აჯილდოვებს თხზულებებს იმ საკითხების შესახებ, რომელთა შესწავლა საზოგადოების მიზანს შეადგენს;

ე. აარსებს წიგნთსაცავს;

ვ. ადგენს სხვა და სხვა განსაკუთრებულ სამეცნიერო საკითხების შესასწავლად, გამოსარკვევად ან რაიმე შინაურ საადმინისტრაციო საკითხების მოსაგვარებლად კომისიებს და სექციებს. მართავს მეცნიერულ მიზნით ექსკურსიებს და ჰგზავნის სხვა და სხვა კუთხეებში კერძო პირთ რაიმე საგნის გამოსარკვევად;

ზ დახმარებას უწევს ქართულ იურიდიულ მეცნიერების რომელსამე დარგში მომუშავეთ;

კ. აარსებს თავის განყოფილებათ სხვა და სხვა ქალაქებში.

**საზოგადოების შედგენილობა**

§ 3. საზოგადოება შესდგება საპატიო, ნამდვილ, კორესპონდენტ და დამხმარე წევრთაგან.

**შენიშვნა** 1. საზოგადოების წევრთა და მასში რომელისამე თანამდებობის ასრულება შეუძლიანთ ორისავე სქესის პირთ.

§ 4. საპატიო წევრებად აირჩევიან ისეთი პირნი, ვისაც ღვაწლი მიუძღვის იურიდიულ მეცნიერების წინაშე ან კიდევ საზოგადოების წევრთა რიცხვიდან ისინი, ვისაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე.

§ 5. საპატიო წევრებს საბჭოს წარდგინით ირჩევს საზოგადო კრება.

§ 6 საზოგადოების ნამდვილ წევრებს ირჩევს, საბჭოს წარდგენით საზოგადო კრება ფარულის კენჭის ყრით

უბრალო ხმის უმეტესობით ისეთ პირთაგან, ვისაც მიღებული აქვს იურიდიული განათლება, ან აქვს იურიდიული სამეცნიერო შრომა, ან მოსამართლის ან მისი თანაბარ თანამდებობას ასრულებს და საზოგადოდ ყველა ის, ვისაც საკმარისი იურიდიული მომზადება აქვს.

§ 7. ნამდვილი წევრები ყოველწლიურად იხდიან საზოგადოების სასარგებლოდ 10 მანეთს საწევრო გადასახადს.

შენიშვნა: ყოველწლიურ გადასახადის მაგიერ შეიძლება ერთდროულად 200 მანეთის გადახდა.

§ 8. კორესპონდენტ წევრებად ჩაირიცხებიან ტფილისს გარეთ მცხოვრებნი რომელნიც სამსახურს გაუწევენ საზოგადოებას სასარგებლო ცნობების და საჭირო სამეცნიერო მასალის მოწოდებით.

§ 9 დამხმარე წევრებად საზოგადო კრების არჩევით ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც სურს საზოგადოებისათვის შრომა მაგრამ ვერ აკმაყოფილებს იმ პირობებს რომლებიც საჭიროა. რომ იგი საპატიო ან ნამდვილი წევრად იქმნას მიღებული.

§ 10. კორესპონდენტი და დამხმარე წევრები დაესწრებიან საზოგადო კრებებს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

## საერობო არჩევნები სოფ. კავთისხევში

ყველასათვის ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერობის შემოღებას ჩვენში განსაკუთრებით დღეს, როდესაც სოფლის გაჭირვებული და უმწეო მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი ხდება. ყოველი ხალხის გულშემატკივარი და მით უმეტეს პარტია იმას უნდა სცდილობდეს, რომ ხალხის მართვა-გამგებლობის სათავეში ისეთი პირები მოექცნენ, რომელთა ზრუნვის საგანი ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქება და უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. ამ ნიადაგზე წარმოება აგიტაციისა ხალხში ყოველ პარტიის მიერ, რომ თავის დასახელებული კანდიდატები გაიყვანოს და ამგვარად გამარჯვება არგუნოს თავის პარტიას ბევრი ხმების მიღებით, შესაწყნარებელიცაა და აუცილებელიც. მაგრამ წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები მაინც არ უნდა შებღალოს თვისი მოქმედებით.

სწორედ ასეთი იყო მოქმედება კავთისხეველ სოც.-დემოკრატებისა — შელახვა სამართლიანობისა და უარყოფა იმ წესებისა, რომლებიც შემოღებულია საერთოდ არჩევნების წესიერ მოხდენისათვის.

არჩევნები სექტემბრის 30-თვის იყო დანიშნული. კვირა დილით სოფლის კანცელარიისაკენ ხალხმა იწყო დენა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ბევრი მათგანი გამოცხადდა 4—8 საარჩევნო ბარათით ხელში. სოც.-დემოკრატებმა ნებადართეს ყოველ ამომრჩეველს ესარგებლნა სხვის ბარათებით და ამგვარად ერთ ამომრჩეველს უფლება ეძლეოდა რამოდენიმე ბიულეტენი ჩაეგდო ყუთში. ჩვენ განუცხადეთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ასეთი წესით არჩევნების წარმოება, რომ ეს დარღვევაა და უარყოფა იმ წესისა, რომელიც საერთოდაა მიღებული სახელმძღვანელოდ არჩევნების კანონიერ მოხდენისათვის. ჯერ არ უნდოდათ ეს შეეგნოთ და ასტეხეს განგაში, დაიწყეს თავისებური დემაგოგობა, რომ თქვენ ხელს გვიშლით, თქვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების ჩაშლაა და სხვ... მაგრამ ბოლოს, როგორც იქმნა, დავითანხმეთ და უარვაყოფინეთ თავიანთი უკანონო გარდაწყვეტილება. ამის შემდეგაც ბევრს უკანონობას, დასაგმობ და შეუწყნარებელ მოქმედებას ჰქონდა ალაგი, მაგრამ აქ იმათ აღნუსხვას აღარ გამოუდგებით.

არჩევნების მეორე დღეს, როცა ყუთები უნდა გახსნილიყო კომისიის წევრებს მოვსთხოვეთ ამომრჩეველთა სიები, რომ შეგვემოწმებინა კანონიერება ყუთებში აღმოჩენილ ხმებისა, მაგრამ ასეთ სამართლიან მოთხოვნილებაზე სოც.-დემოკრატებმა კატეგორიული უარი გვითხრეს, სიები არ წარმოადგინეს და განაცხადეს თქვენ მაგის უფლება არა გაქვთო. ჩვენ აუხსენით, რომ თქვენი ქცევა ყოვლად შეუწყნარებელია და არღვევთ იმ საერთო წესს, რომელიც არჩევნებისათვის არის შემოღებული, როდესაც თქვენ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებთ. მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ უარზე იდგნენ: სიებით შემოწმება ხმებისა რა საჭიროა, გავხსნათ ყუთები და პირდაპირ დავთვალოთო. შეთანხმება შეუძლებელი გახდა. ამიტომ კომისიის მიერ გაგზავნილ იქმნა კაცი ახალქალაქის სარაიონო კომისიის თავმჯდომარესთან ამ ინციდენტის შესატყობინებლად, სარაიონო კომისიის თავმჯდომარემ სთქვა, თქვენი მოთხოვნა სამართლიანი და კანონიერიაო. მხოლოდ ამის შემდეგ დაგვეთანხმენ სოც.-დემოკრატები სიების გადასინჯვას. მაგრამ გვიან იყო, რადგან ამ ხნის განმავლობაში უკვე მოასწრეს სიების შესწორება, მაგრამ ისე მაინც ვერ რომ მათ მიერ ჩადენილი უკანონობანი არ გამომჟღავნებულიყო. ამის შემდეგ ყუთები გახსნეს და შეუდგნენ ხმების დათვლას. და რა გამოირკვა? მიუხედავად იმისა, რომ სიები თავისებურად შეასწორეს და გაამრავლეს გამოცხადებულ ამომრჩეველთა რიცხვი ზედ-მეტი ნიშნების დასმით, დამატებითი სიების შედგენით არჩევნების დღეს, მაინც ყუთებში ბიულეტენები მეტი აღმოჩნდა ამომრჩეველთა რიცხვზე. მაგ., კავთისხევში მონაწილეობა მიიღო სიების მიხედვით—742, ბიულეტენები კი ყუთში აღმოჩნდა—886; ქვემო-ხანდაკში მონაწილეობა მიიღო—179 ამომრჩეველმა, ბიულეტენები კი ყუთში აღმოჩნდა—250. ბევრი აღმოჩნდა 5—10 ბიულეტენი ერთად დაკეცილი, რაც აშკარად ამტკიცებდა, რომ არჩევნების შემდეგ უკანონოდ იყო ჩაყრილი.

როდესაც ოქმი დაიწერა ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლებმა ჩვენი აზრი შევიტანეთ და აღვნიშნავდით მათ უკანონო მოქმედებას. ჩვენს აზრს სოც.-დემოკრატებმა თავიანთი საპასუხო აზრი მიაწერეს, რომ ჩვენი განცხადება სიყალბეზეა და სიმართლეს არ შეეფერება. ასე უტიფრად უარყვეს ყველაფერი: ჩვენ სიების გადასინჯვა და აღმოჩენილ ხმების კანონიერების შემოწმება არ დაგვიშლია, სიები პირველ მოთხოვნისთანავე წარმოვადგინეთ და სხვ..

ასე მოახდინეს არჩევნები სოც.-დემოკრატებმა, ასეთის უკანონო, ულირს საშუალებებით მიიღეს ხმების უმრავლესობა...

დამსწრე.

## სამეგრელოში.

სექტემბრის 20-ს

მთელი პარტიზანული პოლკი თავმოყრილია ზუგდიდში, ერთი-ორი დღით ისვენებს და სამურზაყანოსკენ წასასვლელად ემზადება.

დღეს პარტიზანული პოლკი ზუგდიდის ტაძარში პანაშვიდს იხდის დაუვიწყარ კაპიტანის არჩილ საყვარელიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ესწრებიან: მთელი პარტიზანული პოლკი, ზუგდიდის ს.-ფ. პარტიის კომიტეტის წევრნი, ადგილობრივი მებრძოლი რაზმი ს.-ფ. პარტიისა და მრავალი მკვიდრი ზუგდიდისა.

პანაშვიდის შემდეგ ტაძრის გალავანში პარტიზანულ პოლკის უფროსი ი. გედევანიშვილი მოკლე და შინაარსიან სიტყვას ამბობს და იგონებს უდროოდ და ვერაგულად დაღუპულ არჩილის ნათელ პიროვნებას.

ვსარგებლობ შემთხვევით და იქვე მომყავს ზოგიერთი ცნობა ძვირფას ამხანაგის დაკარგვის შესახებ.

სექტემბრის შვიდს ჩვენი პარტიზანები თავმოყრილნი არიან სოფ. ყულისკარში, რომელიც ზუგდიდიდან აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით მდებარეობს საღამოს 6 საათი იქნება, როდესაც პარტიზანები ამ სოფელში შედიან იმ იმედით, რომ იქ მოასწრებენ ყაჩაღებს რომელთაც წინასწარ ცნობებით იქ კრება უნდა ჰქონოდათ, ირკვევა, რომ ყაჩაღები მართლაც ყოფილან აქა და ერთის საათის წინად წასულან ამ სოფლიდან ამავ სოფლის განაპირა უბანში, ეგრედწოდებულ საანთელავოსკენ, რომელიც ყულისკარის სასოფლო კანცელარიიდან, სადაც პარტიზანები არიან თავმოყრილნი, დაშორებულია 4 ვერსის მანძილით. საანთელავში სულ თოთხმეტიოდე კომლია, გვარად ანთელავაები.

საანთელავოსკენ დაუყოვნებლივ იგზავნება რვა ცხენოსანი მზვერავებად. მათ შორის, სამი ოფიცერი და ხუთი პარტიზანია. ჩქარა იქით მიემგზავრება განსვენებული კაპიტანი არჩილ საყვარელიძეც, არტილერიის უფროსი, და თან მიჰყავს ორი არტილერისტი და უერთდება წინად წასულ რვა მზვერავს. ყველა ესენი უახლოვდებიან საანთელავოს, რომელიც წარმოადგენს მაღლობ ადგილს და თამამად გადმოსცქერის ყულისკარსა და მის მიდამოს.

ეს მაღლობი ადგილი წარმოადგენს; შუაში კარგა მოზრდილ მინდორს, სადაც ეკლესია სდგას და გარშემო ტყესა და სიმინდებს, სადაც ჩადგმულია სახლები. ამ ეკლესიასთან თავს იყრის სამი გზა: ერთი კორცხელისა (მარცხნით), მეორე ჩაკვინჯისა (მარჯვნით) და მესამე—ყულისკარისა, რომლითაც მზვერავნი მივიდნენ საანთელავოში. მცირე ბჭობის შემდეგ მზვერავნი ცოტა მოშორებით ცხენებს სტოვებენ გზაზე, ტყის პირად და თვითონ ფეხ-აკრებით წინ მიიწევენ. შემთხვევით გამვლელ ბიჭისაგან იგებენ, რომ ყაჩაღები, რიცხვით 45—50 კაცი, მართლაც აქ არიან და ავქსენტი ანთელავას სახლში სადილობენ. როგორც შემდეგში ირკვევა, ამ დროს ანთელავას სახლშიც მიდის ვილაც კაცი და ყაჩაღებს პარტიზანების მისვლას ატყობინებს. თანაც დასძენს, ისინი ბევრნი არიან და უკვე გარს არიან შემორტყმულნიო.

ჩვენი პარტიზანები აღარ აყოვნებენ და საჩქაროდ შესაფერს ღონისძიებებს იღებენ. ესენი საჭიროდ სცნობენ სამივე გზა გადაუჭრან. ამ აზრით რამდენიმე კაცი კორცხელის გზის გადასაჭრელად მიდის ტყე-ტყე და რამდენიმეც წალენჯიხის გზის მოსაჭრელად. თვით არჩილ საყვარელიძე და ორი არტილერისტი ყულისკარის გზას იცავენ. არჩილი და ერთი არტილერისტი წინ არიან ხოლო მეორე არტილერისტი უკან არის, ცხენების მახლობლად მყოფი არტილერისტი მოგვითხრობს, ამ გზას უცებ მოადგა რამდენიმე ცხენოსანი ყაჩაღი დათიკო ხვიტიას მეთაურობით და ასტყდა კიდეც სროლა ორივე მხრით. ჩქარა არჩილი მკლავში დაიჭრება, მაგრამ არტილერისტებს მაინც ამხნევებს, ყოჩაღად იყავით, ნუ გეშინიანთო. ხვიტიაც არ სცხრება და თავის ხულიგან ამხანაგებს ამხნევებს. უცებ იგი დაიძახებს რუსულად: მარჯვენა ფრთა წინ! ამის გაგონებაზე არჩილი უბრძანებს მის მარცხნით მყოფს არტილერისტს, რომ მარჯვნით გადავიდეს და იქიდან ისროლოს. ისიც ბრძანებას ასრულებს და სიმინდებიდან ისვრის „ვინტოვკა“-ს. არჩილ საყვარელიძე, როგორც ეს არტილერისტი გადმოგვცემს, კიდევ ოთხჯერ ასწრობს თოფის სროლას და შემდეგ იძახის „ვაის“ ალბად ამ დროს მას კიდევ ხვდება ტყვია და სამუდამოდაც ესალმება წუთისოფელს. არტილერისტმა მეტი არა იცის რა, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობს, ცოტა ხანს უსვრია თოფი და შემდეგ ტყვია გამოლევია და უკან წამოსულა ყულისკარისკენ. მეორე არტილერისტი კი უფრო ადრე გაქცეულა ყულისკარში მაშველ ჯარის გამოსაწვევად. როგორც ეტყობათ, ყაჩაღები მისცვივნიან სასიკვდილოთ დაჭრილ არჩილს და გაუძარცვავთ. თანაც წაურეკიათ პარტიზნების ცხენები ეკლესიისკენ. აქ მათთვის თვალი მოუკრავთ ჩაკვინჯის გზის გადასაჭრელად წასულ პარტიზანებს და ყაჩაღებისათვის სროლა აუტეხნიათ. ერთს პარტიზანთაგანს ყუმბარაც უსვრია მათთვის და თავზარი დაუცია. ამ დროს ყაჩაღთა მეორე ჯგუფს კორცხელის გზისკენ წასული პარტიზნები შეხვედრიან და სროლა აუტეხნიათ. ყაჩაღებს უფიქრიათ, რომ მართლაც დიდძალი ჯარი იყო გარს შემორტყმული და იძულებული გამხდარან გაქცეულიყვნენ კორცხლის გზით, რომლის გადაჭრაც ვერ მოასწრეს იქით წასულმა პარტიზანებმა ცუდის გზისა და გაუვალ ტყეების გამო. ყაჩაღების, რომელთა შორის 11 ცხენოსანი იყო, პარტიზანებმა დაატოვინეს ყველა ჩვენი ცხენები და აგრეთვე მათი თერთმეტივე ცხენი, როგორც ახლა ირკვევა, ყაჩაღების მხრით მოკლულია ორი და დაჭრილია ერთი. პარტიზნების მისაშველებლად ყულისკარიდან ჩქარა გაიგზავნა ჯარი, მაგრამ ყაჩაღები მათ მისვლამდე გაიქცნენ.

ასე დაასრულა თავისი ხანმოკლე და ლამაზი სიცოცხლე განსვენებულმა არჩილმა. სიკვდილის დღეს იგი ჩვეულებრივ მხიარული იყო და ხალისიანად მუსაიფობდა თავის მეგობარ პარტიზანთა შორის.

— იცით რა გითხრათ,—ასე მიმართა მან ამხანაგებს,—წუხელის სიზმარში ვნახე, ვითომც ჩემთვის გენერლობა მოეცეთ. კაცო, მე ჩემს დღეში გენერლობაზე არ მიფიქრია და საიდან მომესიზრმა ესა?

ამ სიტყვებთან ერთად არჩილმა გაიცინა და სხვა თემაზე განაგრძნო ლაპარაკი. მას მოქანცულებასთან ერთად სულიერი სიმშვიდეც აღბეჭდოდა სახეზე. იქნებ ამ დროს თვალწინაც ელანდებოდა წარმტაცი სურათი აყვავებულ სამშობლოსი და ამით სტკბებოდა მამულის წინაშე ვალმოხდილი და მაღალ კეთილშობილური ბუნება მისი!?

რა იცოდა მან, თუ წინა ღამით სიკვდილი გამოეცხადა გენერლის სახით? რა იცოდა, თუ ამ წამს იგი მოდის სიმღერას ამბობდა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა დაობლებულ მის ამხანაგების კვნესა და მწუხარება.

რ. ზ—ლი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** მ. ზ. მეფხაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიზდის ქ. № 19. 992

**ექიმი** სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

**ექიმი** მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

**ექიმი** ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყირილანოვის ქ. № 6.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. ზ. მეჰრაბიანცი ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ ელექტრო-კაბინეტი. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის ფუნი ვგნის ტიპი ა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

**ექიმ** ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი** ქალი რ. ხ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9, ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ექიმმა** დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

**ექიმი** ჟორჟაძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა) [illegible] ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

**ექიმი** ქალი ქონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათაადის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1213

**ექიმი** ი. ი. ხიტიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფი ლისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დით მიხაილოვის შეახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34 301

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო. მუდმივი სამოლდით ექიმ დოხნიძისა რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად. მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 640

ექიმ ნავასარდიანის პირველი ქერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. მ. აგასარიძე: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ნ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო ექ. ალექსიძის
მომხვდელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხპ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ფეხზართხის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

საბუღალტრო კურსები.
ნ. ვ. აბრამიანისა
ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები თხ თვიანია მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმათთვის, ვისაც სურს ბუღალტერია ქართულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს 20-დან სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა
პირველი ქართული ბუღალტერიის კურსები
ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად
ალ. გ. საათაშვილისა
ბუღალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და ჩაწერა კურსებზე ყოველდღე შეიძლება დილის 9—2 საათამდე და 5—8 საათამდე. ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს 1-ლი უბანი) ტრამვაის ვაგონი № 5 და 9.
2052